ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო) წარმატებული სტუდენტებისათვის

კონკურსის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველი საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტს – საქართველოს მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 6 თვის მანძილზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ბოლო საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით, სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში (სტუდენტს სემესტრში გავლილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4 საგანი) აქვს არანაკლებ 81-90 ან 91-100 ქულა (A კატეგორია – ფრიადი ან B კატეგორია - კარგი), აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი.
ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო) თითოეულ სემესტრში გაიცემა 5 სტუდენტზე. დაფინანსება გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სემესტრულად, მიმდინარე სალექციო კურსის წინა სემესტრის ქულების გათვალისწინებით. ერთ სტუდენტზე გაცემული სტიპენდიის (ჯილდო) ოდენობა თითოეულ სემესტრში 625 (ექვსასოცდახუთი) ლარს შეადგენს.

კონკურსანტების სიმრავლის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭება აკადემიური მოსწრების საუკეთესო ქულის მქონე კონკურსანტს, ხოლო თანაბარი ქულის არსებობის შემთხვევაში იმ კონკუსანტს, რომელსაც დამატებით წარმოდგენილი აქვს სამეცნიერო ნაშრომები, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში და სერთიფიკატების/ სამეცნიერო ნაშრომების, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანაბრად წარმოდგენისას ან არ არსებობისას, სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას თანაბარი ქულების მქონე სტუდენტებზე დამატებითი სტიპენდიის (ჯილდო) გაცემის შესახებ.

2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში მატერიალური სახით ან ელექტრონულ ფოსტაზე- scholarship@poti.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე -591 41 75 24

დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში
უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) განცხადება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
გ) ფოტოსურათი - 2 ცალი (ზომა - 3სმ. × 4სმ.);
დ) სტუდენტის საბანკო რეკვიზიტები;
ე) ამონაწერი სტუდენტის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან (იუსტიციის სახლიდან/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან);
ვ) იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის შემთხვევაში, დოკუმენტი დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან.
ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ, სემესტრის განმავლობაში გავლილი ყველა სალექციო კურსისა (საგანი) და აკადემიური მოსწრების ქულების მითითებით (მატერიალურად დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ხელმოწერით და

სველი ბეჭდით დამოწმებული, ხოლო ელექტრონულად წარმოდგენის შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული შტამპით დამოწმებული).

გადაწყვეტილების მიღების წესი:
კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე. სტიპენდია (ჯილდო) კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს დაერიცხება პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე -591 41 75 24